## პირველი მჭედლები

იბერიელთა სოფელი  მაღალ–მაღალი ცხენები
ხალიბის ფოლადს ადნობენ მამაცი ხალიბელები.
პირველყოფილი სამჭედლო – გრდემლი და ურო ძლიერი,
ქართულ იარაღს აწრთობენ მამაცი იბერიელნი.
კვერითხუროი ვეება, რვალის და რკინის მჭედელი
და საბერველი, ვეშაპის ყბასავით გაუხედნელი.
უგანივრესი ფილცვები, ჰაერი დაჟანგებული,
ბაასი: ჭექა–ქუხილი და ერი აჯანყებული.
ქურაში ცეცხლის ენები – წითელი აბრეშუმები,
კედლებზე ახალთახალი თხუთმეტწყრთიანი შუბები,
უზარმაზარი ფანჯრები, გაჭრილი თაღებამდისა,
დასახარჯავი ხანჯლები ღა პარანგები ნაბდისა.
იბერიელთა სოფელი… მაღალ–მაღალი ცხენები…
ხალიბის ფოლადს ადნობენ მამაცი ხალიბელები.
პირველყოფილი სამჭედლო - გრდემლი ღა ურო ძლიერი,
ქართულ იარაღს აწრთობენ მამაცი იბერიელნი.

1941

s